

პროგრამის შინაარსი

იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტების, საკრავების გამოყენებით;
- ბგერა, ხმოვანების სიძლიერე, რიტმი (ოსტინატო, სინკოპა, პუნქტირული რიტმი), ტემპი, მეტრი, რეგისტრი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ინტერვალები ოქტავის ფარგლებში, დიატონური სეკვენცია.

სიმღერა:

- თანხლებით და მის გარეშე;
- ინდივიდუალურად, ანსამბლში და გუნდში;
- ერთხმიანი, ორხმიანი და მარტივი სამხმიანი სიმღერები, მაგალითად, "შინა ვორგილ", "ჩონგური", "ქრისტე აღსდგა", "მრავალჟამიერ" (საგალობელი), "ციცინათელა", ი. გურგულია - "საქანელა", ი. ბობოხიძე - "ფიფქები", ს. ცინცაძე - "ტოროლა", რ. ლალიძე - "სიმღერა თბილისზე", ვ. აზარაშვილი - "დინამო", ჯ. ჰერმანი - "Hello, Dolly", ე. დი კაპუა - "O Sole mio", ლ. რიჩი - "Endless Love" და სხვ.

კომპოზიცია, სპექტაკლი:

- სცენების გათამაშება;
- დასრულებული ფორმით წარდგენა.

მუსიკალური დამწერლობა:

- ალტერაციის ნიშნების ამოცნობა და გამოყენება;
- მუსიკალური ფრაგმენტის გადაწერა;
- მუსიკალური ჩანაწერის გამოყენება ნაწარმოების დასწავლის, კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობის, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის დროს.

მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ტონიკა, მყარი, მერყევი საფეხურები, კვინტური წრე;
- დინამიური ნიუანსები: Mezzo Forte, Mezzo Piano;
- შესრულების ხერხები: სტაკატო, ლეგატო;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, ფოლკლორისტი, მუსიკისმცოდნე, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, ლოტბარი, რეგენტი, მესა, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, კორდე-ბალეტი, ბალერინა, ბალეტის

მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, ადაჯო, პა დე დე, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, ოპერა, არია, არიოზო, რეჩიტატივი, ანსამბლი, დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, ჟანრი;

- ორკესტრი (სიმფონიური, კამერული, სასულე, სიმებიანი), ჯგუფები.

მუსიკალური ფორმები:

- მარტივი სამნაწილიანი, კუპლეტური, რონდო, ვარიაციული.

მუსიკის მოსმენა:

- განსხვავებული ეპოქების ცნობილი ნაწარმოებების მოსმენა, ამოცნობა;
- ქართული ხალხური მუსიკის მოსმენა, ამოცნობა.

ღონისძიებები:

- სკოლის კონცერტი;
- კლასის სპექტაკლი, კარნავალი, მეჯლისი, შეხვედრა - სადამოები;
- ვიქტორინა;
- საჯარო კონცერტზე, სპექტაკლზე დასწრება;
- ექსკურსია ხელოვანის სახლ-მუზეუმში.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- განწყობილების ამოცნობა, შთაბეჭდილებების გაზიარება, საკუთარ შეხედულებებზე საუბარი;
- ინფორმაცია ნაწარმოების და ავტორის შესახებ – პროგრამა (სიუჟეტი, ლიბრეტო), ეპოქა, სტილი, ჟანრი, ბიოგრაფიული ცნობები;
- ინფორმაცია შემსრულებლების შესახებ.

სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "წინწყარო", იმერული "ნადური", მეგრული "ოდოია", რაჭული "ალილო", სვანური "ლილე"; საგალობელი "ქრისტე აღსდგა", ბრაზილიური სიმღერა "გვანტანა მერა"; ვ. დოლიძე - ფრაგმენტები ოპერიდან "ქეთო და კოტე", ნ. გაბუნია - "იგავი" ინსტრუმენტული ანსამბლისა და სოლისტებისათვის (ფრაგმენტები); ი. კეჭყემაძე - გუნდი "ლაშარის გზაზე" საგუნდო ციკლიდან "ფშაური ჩანახატები" ა. კალანდაძის

ლექსებზე; ვ. აზარაშვილი - "ნოქტიურნი" კამერული ორკესტრისათვის; ი. ს. ბახი - სავიოლინო კონცერტი ლა მინორი; ლ. ბეთჰოვენი - სიმფონია #5, I ნაწილი; თემა და ექვსი ვარიაცია, ფა მაჟორი; ფ. შოპენი - მაზურეკი, თხზ. 33 #2, რე მაჟორი/ თხზ. 24 #2, დო მაჟორი, ვალსი #7 დო დიეზ მინორი; ჟ. ბიზე - უვერტიურა, ტორეადორის კუპლეტები, ბავშვთა გუნდი ოპერიდან "კარმენი"; ჰ. ბერლიოზი - ფრაგმენტები "ფანტასტიკური სიმფონიიდან"; კ. სენ-სანსი - "ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო"; ჯ. ვერდი - კვარტეტი ოპერიდან "რიგოლეტო"; ვ. ა. მოცარტი - პაპაგენოს და პაპაგენას დუეტი, ღამის დედოფლის არია ოპერიდან "ჯადოსნური ფლეიტა", ა. ლერნერი, ფ. ლოუ - ფრაგმენტები მიუზიკლიდან "ჩემი მშვენიერი ლედი" და სხვ.